https://doi.org/10.52340/PUTK.2023.27.14

ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ და ლიმინალობის თეორია (ინტერპრეტაცია)

VAZHA-PSHAVELA'S 'HOST AND GUEST' AND THEORY OF LIMINALITY (INTERPRETATION)

ანა ლეთოდიანი
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო
Ana Letodiani
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Tbilisi, Georgia

ABSTRACT

The purpose of this report is to examine Vazha-Pshavela's 'Host and Guest' within the framework of liminality theory and provide a new interpretation of the literary text.

The concept of liminality means the pass, the threshold between two different spaces. Liminality is associated with the transformation of social status, values, rules, and principles, but mostly with the process of searching for one's own identity. According to the liminality theory in anthropology, variations of any kind imply three stages: 1. Separation, or detachment; a break from a certain social unity because of personal preference; at this point, the individual no longer exhibits the features characteristic of the social community. 2. Liminality, this stage involves disconnection from the normative context, constructing a world that is opposed to the previous one. 3. Incorporation/reaggregation, consolidation, reintegration into the community with the new social standing.

Liminality theory is considered an interdisciplinary research method with the ability to address various phenomena in the fields of humanities and social sciences. The literature also presents a rather intriguing picture in this regard, adding depth to the understanding of the theory's application.We have selected the text of Vazha-Pshavela's 'Host and Guest' for our study based on this perspective. We believe that application of the liminality theory to this poem and identification and understanding of the stages of self-cognition process of the main characters in this context, can lead to interesting conclusions as the storyline develops.

საკვანძო სიტყვები: ლიმინალობის ანთროპოლოგიური თეორია, ვაჟა-ფშაველა, „სტუმარ-მასპინძელი".
Keywords: Anthropological theory of liminality, Vazha-Pshavela, 'Host and Guest'.

მხატვრული ლიტერატურის გააზრებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი პერსონაჟის შინაგან ტრანსფორმაციაზე დაკვირვებაა. სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული ესთეტიკური პრინციპების, სხვადასხვა ჟანრის სპეციფიკის, ასევე ავტორის ინდივიდუალური სტილისა თუ მხატვრული ტექსტის იდეური ამოცანის გათვალისწინებით, პერსონაჟის ცვლილების პროცესი სხვადასხვაგვარად გამოისახება.

ჩვენი მიზანია ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის", უფრო კონკრეტულად, ჯოყოლას სახის ლიმინალობის თეორიის კონტექსტში რეცეფცია, ამ თეორიის ნიშანთა მიხედვით პერსონაჟის ხასიათის ცვლილების პროცესზე დაკვირვება, მათი ქმედების მოტივის ამოკითხვა.

ცვალებადობა სხვადასხვა ტიპის არსებობს. ფრანგი ანთროპოლოგის არნოლდ ვან გენეპის თეორიის თანახმად, ყველა სახის ცვალებადობას (ტერიტორიულს, ასაკობრივს, ოჯახურს, სოციალურს და ა. შ.) ახასიათებს ტრანზიტულობა, გადანაცვლება (რატიანი 2010: 110, 111). სწორედ ნებისმიერი ტიპის გადანაცვლებას უკავშირდება ლიმინალობის თეორია[1].

არნოლდ ვან გენეპის თვალსაზრისით, ლიმინალობა სოციალური სტატუსის, ღირებულებების, წესების, პრინციპების, პიროვნული თუ სხვა ტიპის ტრანსფორმაციას, უპირველესად კი იდენტობის ძიების პროცესს უკავშირდება. ლიმინალობის ანთროპოლოგიური თეორიის მიხედვით, ნებისმიერი სახის ცვალებადობა გულისხმობს 3 ფაზას: 1. სეპარაცია ანუ გამოცალკევება; გარკვეული სოციალური ერთობისაგან გამიჯვნა ინდივიდუალური არჩევანის საფუძველზე; ამ დროს ინდივიდი ერთობისათვის ნიშნეულ მახასიათებლებს კარგავს, 2. ლიმინალობა, ეს სტადია მოიცავს ნორმატიული კონტექსტისაგან გამოცალკევებას და ადრინდელის საპირისპირო სამყაროს შექმნას, 3. ინკორპორაცია/ რეაგრეგაცია, გაერთიანება, საზოგადოებაში განახლებული სოციალური სტატუსით დაბრუნება.

ლიმინალობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი გარემოებაა ის, რომ ამ პროცესის დასაწყისიცა და დასასრულიც უკავშირდება ცნობიერებას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მენტალობას, როგორც ლიმინალური პროცესის საწყის იმპულსსა და საბოლოო შედეგს. ამ ორ ზღვრულ წერტილს შორის რეალიზდება ლიმინალობის დისკურსი.

ლიმინალობა ახალი აზრისა და წესრიგის ჩამოყალიბებას, სოცია-ლური სტატუსის, ღირებულებების, ნორმების, იდენტობის, თვითშემეცნების ცვლილებას გულისხმობს. ის მოიცავს: სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური, ფიზიოლოგიური თუ სხვა სახის პრობლემათა ფართო სპექტრს, ამდენად, ინტერდისციპლინური მოვლენაა.

ამ თეორიის საშუალებით შესაძლებელია ჰუმანიტარული თუ სოციალური აზროვნების სფეროს სხვადასხვა მოვლენის გააზრება. ამ მხრივ საყურადღებო სურათს გვთავაზობს მხატვრული ლიტერატურაც.

„...მხატვრული ნაწარმოები ყოველი წაკითხვისას სულ ახალი სახით წარმოუდგება მკითხველ"ს... (ყარალაშვილი 1977: 6). ვფიქრობთ,

[1] ლიმინალობის ცნება ორ განსხვავებულ სივრცეს შორის გასასვლელს, მიჯნას აღნიშნავს. ტერმინი „ლიმინალობა" სამეცნიერო სფეროში დაამკვიდრა ფრანგმა ანთროპოლოგმა არნოლდ ვან გენეპმა (ამაზე საუბარია ნაშრომში „გადანაცვლების რიტუალი"/Rites de Passage" (1908). მოგვიანებით, კი, ამ ტერმინს იყენებს ვიქტორ ტერნერი.

ლიმინალობის თეორიის საფუძველზე მხატვრული ტექსტების ანალიზი მათ კონკრეტიზებასა და რეკონსტრუქციაში დაგვეხმარება, წარმოდგენას შეგვიქმნის პერსონაჟთა ხასიათის დაფარულ შრეებზე, თვითშემეცნების პროცესებზე, ფსიქოემოციურ ფაქტორებზე, იმპულსურ თუ გაცნობიერებულ მოქმედებაზე, ქცევის მოტივებზე, სიუჟეტში განვითარებულ მოვლენათა არსზე, ტექსტის იდეაზე.

სწორედ ამ თვალსაზრისით შევარჩიეთ საკვლევ ტექსტად ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“. ვფიქრობთ, საინტერესო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას გვაძლევს ამ პოემის ლიმინალობის თეორიის დახმარებით გააზრება.

არნოლდ ვან გენეპის თვალსაზრისით, გადანაცვლების რიტუალი გულისხმობს სამი ფაზის ერთიანობას. ეს ფაზებია: „პრელიმინალური“ (წინარე მდგომარეობისაგან გამოცალკევება), „ლიმინალური“ (ტრანზიტულობის ფაზის აღმნიშვნელი) და „პოსტლიმინალური“ (ხასიათდება ახალ მდგომარეობაში გადასვლით); „ძველი“ და „ახალი“ პოზიციები გულისხმობს როგორც მცირე, ისე ფართომასშტაბიან ტრანსპოზიციებს /გადაადგილებას, გადანაცვლებას (რატიანი 2010: 110).

ვიქტორ ტერნერის ნაშრომებში ლიმინალობის ცნება გასცდა ვიწრო ანთროპოლოგიურ კონტექსტს და შეიძინა უფრო ფართო მნიშვნელობა. მისი დასკვნით, ლიმინალობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ როგორც შუალედური მდგომარეობის მარკერი, არამედ – როგორც ზღვრულ სიტუაციებში ადამიანის რეაქციების გამოცდილება. ლიმინალობა სხვადასხვაგვარად ზემოქმედებს სხვადასხვა ინდივიდსა თუ ინდივიდთა ჯგუფზე. ტერნერს სჯერა გენიალურობით გამორჩეული სუბიექტების არსებობის, რომელთაც ასევე აქვთ სოციალურ სტრუქტურათა ცვლილების უნარი. „ინდივიდი იქცევა მორალურ ნოვატორად, იქმნის ავტონომიას და ამსხვრევს ტრადიციულ ჩვევებს“ (Bräunlein 2012: 155).

გადანაცვლების რიტუალზე საუბრისას, ვიქტორ ტერნერი გამოყოფს „სოციალური ყოფის“ ოთხ ფაზას: პირველი ეტაპი არის „ცხოვრება” და ასახავს იმ ნორმატიულ სისტემას, რომელშიც ცხოვრობს ინდივიდთა ჯგუფი; მეორე ფაზა, ანუ „კრიზისი”, შეესატყვისება კრიტიკულ კონდიციას, რომელიც აყენებს ინდივიდთა ჯგუფს „არჩევანის“ წინაშე. არჩევანი შეიძლება იყოს „პოზიტიური” და „ნეგატიური”; მესამე ფაზა, ანუ კონფლიქტი, ესადაგება „ხელმძღვანელი ჯგუფის» უფლებებისა და ავტორიტეტის გამოყენებას „ინდივიდთა ნეგატიურად განწყობილი ჯგუფის მიმართ”; მეოთხე ფაზა, ანუ „გამოსვლა“, ასახავს იმ შედეგებს, რომლითაც დასრულდა მესამე ფაზაში „გათამაშებული” დრამა. თავად ტერნერი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მესამე ფაზას, ანუ „კონფლიქტს», რომელიც „ჰარმონიას” გარდაქმნის „დისჰარმონიად» და მთელი სიმწვავით აყენებს ტრანსფორმაციის საკითხს (რატიანი 2010: 117). სწორედ ზემოაღნიშნულ მოდელების საფუძველზე შევეცდებით „სტუმარ-მასპინძლის“ ინტერპრეტაციას.

ვიქტორ ტერნერისეული გადანაცვლების რიტუალის პირველი ეტაპის მიხედვით („ცხოვრება” ასახავს იმ ნორმატიულ სისტემას, რომელშიც ცხოვრობს ინდივიდთა ჯგუფი) იწყება მოქმედება „სტუმარ-მასპინძელში“;

ქისტების ადათის თანახმად, გზად შეხვედრილ ადამიანს სტუმრად ეპატიჟება ჯოყოლა. მეორე ფაზა („კრიზისი», კრიტიკული კონდიცია, რომელიც ინდივიდს „არჩევანის" წინაშე აყენებს) იმ ეპიზოდიდან ვლინდება, როცა ჯოყოლას სახლში შეჭრილ ქისტებს მასპინძელი სტუმარ-მასპინძლობის წესის დარღვევაში ადანაშაულებს (არნოლდ ვან გენეპის გადანაცვლების თეორიის თანახმად, ესაა პრელიმინალური ფაზა, ანუ წინარე მდგომარეობიდან გამოცალკევება, სეპარაცია, გაუცხოება). მუსას სიტყვებმა, რომ მისი სტუმარი სინამდვილეში „მთელი ქისტეთის ამომგდე, მუდამ მათი გაჟლეტის მოსურნე" ზვიადაური იყო, ჯოყოლა ცოტა შეაფიქრიანა.

„ჯოყოლა ცოტას შეფიქრდა (აღნიშნულია, რომ ცოტა – შენიშვნა ჩვენია!),

პირს სინანული წაესო,

თითქოს ნატყორცნი ისარი,

ზედ გული კოვზზე დაესო" (ვაჟა-ფშაველა 1985: 182).

სწორედ ამ დროს იგებს ჯოყოლა მუსასგან, რომ ზვიადაური მისი ძმის მკვლელიცაა. დაძაბული დიალოგის ამ მონაკვეთში ჯოყოლა წამიერად შეყოვნდება („–ეგ მართალია, იქნება..." (იქვე: 183), რაც სტილისტიკური ხერხით, გაჩუმებით, მრავალწერტილითაა გამოხატული. წერით მეტყველებაში ასახული ამგვარი ფორმა, როგორც წესი, პერსონაჟის განწყობილებას, დაძაბულ სულიერ მდგომარეობას უკავშირდება, რაც იწვევს მეტყველების, აზრის დანაწევრებას. ჯოყოლას პოზიცია იმ დროს, როცა ქისტებმა მის სახლში ზვიადაური შეიპყრეს, ამბივალენტურია; ის ცდილობს დაარწმუნოს მუსა და მის სახლში შემოჭრილი ქისტები, წესის, რჯულის მიხედვით მოიქცნენ და მის ოჯახში არაფერი ავნონ სტუმარს; აქვე ამატებს, რომ მისი სახლის გარეთ შეუძლიათ ზვიადაურს „ავად მოეპყრან", თუმცა მალევე ისმის მისგან ფრაზა, რომელიც არ უკავშირდება ქისტების ადათს და უფრო მის ადამიანურ, ემოციურ დამოკიდებულებას გამოხატავს:

„ვაი თქვენ, ქისტიშვილებო,

მომდგარნო ჩემს კარს ჯარადა!

უიარაღოს აწვალებთ,

გული რასა ჰგრძნობს თავადა?" (ვაჟა-ფშაველა 1985: 183).

სწორედ ამგვარი წინააღმდეგობების ფონზე იჩენს თავს, ტერნერის მიხედვით, „კრიზისის" ეტაპი (რომელიც ინიციანტს არჩევანის წინაშე აყენებს).

„მას შემდეგ, რაც ნორმალური, რეალური, კანონზომიერი დროის დინებაში ხდება უეცარი გარღვევა და სრულიად ბუნებრივი მოვლენები მოულოდნელ და გაუთვალისწინებელ სახეს იღებს" (Бахтин 2000: 80). პერსონაჟის ცნობიერებაში იწყება მისი შინაგანი ძიების პროცესი (თვითშემეცნების, გადაფასების ფაზა; გენეპის მიხედვით, ლიმინალური კონდიცია ასახულია პოემის იმ პასაჟში, როცა სასაფლაოდან დაბრუნებული აღაზა „სულშეხუთული" „გადაიქცა ზღურბლზედ" (ვაჟა-ფშაველა 1985: 192); ამ დროს ჯოყოლა კერის პირას იჯდა „მუხლი გადეგდო მუხლზედა" (იქვე: 193). როცა აღაზას ასულიერებს, აღნიშნავს: „სხვა სადარდელი მაკლია, ახლა შენ მექნე მოზარე?!" (იქვე). როცა გარკვეული დროის შემდეგ აღაზასგან თავს

გადახდენილი ამბის ვერსიას მოისმენს, ჯოყოლას არ სჯერა მისი: „ჩემს ჭკვას არ სჯერა ნათქვამი, ჩემი ფიქრები ირევა". ვფიქრობთ, ამ პასაჟში ჯოყოლას შინაგან მდგომარეობას ყველაზე მეტად გამოხატავს ზემოთ მოხმობილი ორი ფრაზა: „სხვა სადარდელი მაკლია" და „ჩემი ფიქრები ირევა". ეს უკანასკნელი გამონათქვამი არ უნდა გამოხატავდეს მხოლოდ აღაზას ამბით შეშფოთებას და, ზოგადად, ჯოყოლას ფსიქოემოციურ მდგომარეობას უნდა ასახავდეს. მისი ფიქრები „ირევა", ალუდა ქეთელაურის არ იყოს, როცა ის, უნაგირზე მუცალის მკლავჩამოკიდებული, ფიქრიანი და ამბივალენტური შინაგანი მდგომარეობით ბრუნდება შატილში და „არ ეწონება თავია!"

ამ ეპიზოდში იკვეთება ლიმინალური ფაზის ნიშნები, რომლებიც ადამიანის შინაგან სამყაროში მიმდინარე პროცესებსა და ფსიქოემოციურ ასპექტებს უკავშირდება. პოემის ტექსტში ამ ტიპის პროცესები მხოლოდ გაკვრით, თითო ფრაზითაა აღწერილი, განუსაზღვრელ ადგილთა რიგს განეკუთვნება. მათ აქტუალიზებას ლიმინალობის თეორიის კონტექსტში შევეცდებით.

ვიქტორ ტერნერის თვალსაზრისით, ინდივიდის გამოყოფა გამყარებული საზოგადებრივი სტრუქტურისაგან ანიჭებს მას ამბივალენტურ სოციალურ სტატუსს, ასევე, ათავისუფლებს ნებისმიერი კანონის, ქცევის ნორმებისა და წესისაგან; მისი სტატუსი ბუნდოვანია ლიმინალური ფაზის პირობებში. ინდივიდი „არც აქეთ არის, არც იქით" (რატიანი 2010: 111; Förster). შესაბამისად, შეჩერებულია მისი როგორც „წინარე", ისე „მომდევნო" სტატუსის მოქმედება, ინიციანტი განუსაზღვრელობის პოზიციაშია, იდენტობის შეგრძნება გაბუნდოვანებულია, ჰგავს სიზმრისეულ მდგომარეობას; საერთო სტრუქტურიდან, დრო-სივრციდან ამოვარდნა რთული პროცესია, ტკივილს იწვევს... ამ დროს ინდივიდი დგას აუცილებლობის წინაშე, განსაზღვროს საკუთარი არსი და ახალი სოციალური წესრიგი..." (ბ.ტომასსენი) (Фусу 2017). იგი რეკონსტრუირებული, განახლებული კულტურული მოდელებისა და პარადიგმების მოლოდინის კონდიციაშია. ლიმინალობის ფაზა უმეტესად გზის მოტივს, ხეტიალს მოიცავს. „სტუმარ-მასპინძელში" კი სიუჟეტში მოქმედების ხანგრძლივობისა და სივრცეში გადაადგილების თვალსაზრისით დრო-სივრცე შეკუმშულია, ლოკალიზებულია (აული, ჯოყოლას სახლი). ვფიქრობთ, ამას ჟანრული თავისებურებაც განაპირობებს; ფიზიკურ სივრცეში განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პერსონაჟის შინაგან სამყაროში მიმდინარე პერიპეტიები. პოემაში თითქოს ხაზგასმულია, რომ გადანაცვლების რიტუალი, ჯოყოლას შემთხვევაში, ფსიქიკაში, ცნობიერებაში მიმდინარე პროცესებს უკავშირდება. აღნიშნულს ადასტურებს ზემომოხმობილი კერასთან ყოფნის ეპიზოდი. მთავარი პერსონაჟი ფიქრობს, ამაზე მიგვანიშნებს კერასთან მისი (ერთი შეხედვით, თითქოს არხეინად ყოფნა, ფეხზე ფეხგადადებული) ჯდომა, თუმცა ეს პასაჟი ფიქრის მდგომარეობას უფრო ასახავს. მის ცნობიერებაში რომ გარკვეული პროცესები მიმდინარეობს, ამას გამოხატავს აღაზასადმი ნათქვამი ფრაზა: „სხვა სადარდელი მაკლია, ახლა შენ მექნე მოზარე?!" (ვაჟა-ფშაველა 1985: 193). როგორც აღვნიშნეთ, პოემის სიუჟეტის ქრონოტოპი შეზღუდულია,

ლიმინალობის თეორიის თანახმად, საკვანძო ფაზები (სეპარაცია, ლიმინალობის კონდიცია) ჯოყოლას სახლს, სახლის ტოპოსს უკავშირდება.[2] თუ გავითვალისწინებთ სახლის სიმბოლიკას, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ჯოყოლას შინაგანი ტრანსფორმაციის სივრცე სახლია. სახლი სამყაროს ცენტრის სიმბოლოდ მიიჩნევა, უსაფრთხოებას გამოხატავს (სიმბოლოთა და ნიშანთა ენციკლოპედია). კარლ გუსტავ იუნგის ფსიქოანალიზის მიხედვით, სახლის არქეტიპი პიროვნულობის, ადამიანის ცნობიერი ინტერესების სიმბოლოა, ის ადამიანის ეგოს უკავშირდება (Юнг 1991).

სიუჟეტი სწრაფად ვითარდება და მალევე დგება მესამე ფაზა, ანუ კონფლიქტი. ვიქტორ ტერნერის თეორიის მიხედვით, პოემაში კონფლიქტის ფაზის გამოხატულებაა ის პასაჟი, როცა ხევსურთა თავდასხმა იწყება და აღაზა ჯოყოლას სხვების მხარდამხარ ბრძოლისკენ მოუწოდებს. ამ დროს ჯოყოლა „წყნარად სწევს კერასთან“ (ვაჟა-ფშაველა 1985: 197).

როგორც ჩანს, თემთან დაპირისპირების შემდეგ კერასთან ჯდომა, წოლა (თანაც, ერთი შეხედვით, წყნარად!) მისთვის ჩვეულებად იქცა. კერასთან წოლა კიდევ ერთი განუსაზღვრელი ადგილია, რაც კვლავ დაფიქრებაზე, თვითგამორკვევის პროცესზე უნდა მიგვანიშნებდეს. კერა სახლის ნაწილია და, შესაბამისად, მისი კონოტაციური მნიშვნელობა სახლის სიმბოლიკას უკავშირდება.

ჯოყოლას მარტო ბრძოლა აქვს გადაწყვეტილი, რათა დაუმტკიცოს ქისტებს, რომ ის ორგული, მოღალატე, „რჯულზე გამდგარი“ (იქვე: 198) არ არის.

ლიმინალობის თეორიის თანახმად, კონფლიქტის ფაზა ესადაგება „ხელმძღვანელი ჯგუფის» უფლებებისა და ავტორიტეტის გამოყენებას „ინდივიდთა ნეგატიურად განწყობილი ჯგუფის მიმართ»; სწორედ ამ განწყობილებას გრძნობს ქისტებისაგან ჯოყოლა და გამოხატავს კიდეც ამას. კონფლიქტი ისეთი სიმწვავით არაა ამ შემთხვევაში ნაჩვენები, როგორც „ალუდა ქეთელაურში“ სიუჟეტის განვითარების კულმინაციურ, კურატის შეწირვის ეპიზოდში, თუმცა მარგინალიზებულად, გაუცხოებულად რომ მიიჩნევს თავს ჯოყოლა და ამავე განწყობით არიან თემის წევრები მის მიმართ, ცხადია. ჯოყოლა თითქოს წინდაწინ გრძნობს, რომ მისი მარტო ბრძოლა განწირულია. შესაძლოა მისი ქმედების მოტივი ისიც იყოს, რომ დრო-სივრცე, რომელშიც ცხოვრობს, უკვე მიუღებელი და გაუცხოებულია მისთვის და სხვა, ახალ სივრცეში გადასვლას ამ გზითაც ცდილობს. ამდენად, მისი ეს საქციელი მხოლოდ ქისტებისათვის იმის ჩვენებას არ ისახავს მიზნად, რომ ორგული და მოღალატე არაა.

ჯოყოლა იღუპება, თავს იკლავს აღაზა. ლოგიკურია აღაზას საქცელი. მომხდარის შემდეგ, ჯოყოლას გარეშე რთული იქნება მისთვის გარემომცველ, გაუცხოებულ სოციუმთან ერთად ცხოვრება. ამიტომ საუკეთესო გამოსავალი ალტერნატიულ სივრცეში გადანაცვლებაა, იქ, სადაც ჯოყოლასთან ყოფნის შესაძლებლობაა.

პოემის სიუჟეტის ფინალური ნაწილი ეთანადება გადანაცვლების რიტუალის ბოლო, ინკორპორაციის, გენეპის მიხედვით, პოსტლიმინალურ,

[2] ალუდა ქეთელაურის შემთხვევში, ლიმინალობის თეორიის მიხედვით, განსაზღვრული ფაზები გარე სივრცეში რეალიზდება.

ტერნერის თანახმად კი, „გამოსვლის" ფაზას, რომელიც ახალ მდგომარეობაში გადასვლას, ალტერნატიულ დრო-სივრცეს გულისხმობს.

ლიმინალური ეტაპის გადალახვა ტრანსფორმაციას უკავშირდება, რაც, ვ. ტერნერის შეხედულებით, ორდინარული „ტემპორალური" გარემოსაგან გამიჯვნას და ალტერნატიული „ანტიტემპორალობის" ფორმირებას აღნიშნავს. „ანტიტემპორალობა", ტერნერის თვალსაზრისით, „ტემპორალობის" ოპოზიციური ცნება, განუწყველი განფენილობაა და შეესატყვისება „მარადისობის" სუბიექტივისტურ გააზრებას (რატიანი 2010: 118).

პოემის ფინალში აღწერილი ჩვენება სწორედ ანტიტემპორალობას უკავშირდება. ჯოყოლა, აღაზა და ზვიადაური არაორდინარულ, ალტერნატიულ დრო-სივრცეში არიან ერთად.

აღსანიშნავია, რომ „სტუმარ-მასპნძელში" გადანაცვლების რიტუალის ყველა ფაზას გადის ჯოყოლა. მართალია, თითქმის ყველა მოქმედი პირი (მუსა, ჯოყოლა, აღაზა) არღვევს იმ წესებს, რომლის მიხედვითაც ცხოვრობს, თუმცა განსხვავებულია მათი ქმედების მოტივი. ინდივიდის თვითშემეცნების პროცესი ყველაზე მეტად ჯოყოლას სახეში გამოიკვეთება. ვფიქრობთ, საგულისხმოა ერთი ფაქტორი: თუ „ალუდა ქეთელაურის" შემთხვევაში ლიმინალობის კონდიციაგადალახული ალუდა ოჯახთან ერთად მიდის სოფლიდან, გაურკვევლია, საით, მაგრამ მთავარია, რომ ის აღარაა ცნობიერად იმ თემის ნაწილი, რომლის სახელიანი წევრიც იყო. სოფელში რჩება მინდია, რომლის საქციელის საფუძველზე (ბავშვებს არ მისცა მუცალის მკლავის ძვლით თამაშის უფლება), შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასში იგრძნობა ლიმინალობის პოტენციალი. „სტუმარ-მასპინძელში" კი ჯოყოლას და აღაზას სიკვდილის შემდეგ ამგვარი პერსონაჟი არ ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ ზვიადაურის შეწირვის სცენის ნახვისას ბევრი ქისტი თითქობს ნანობს ამ სისასტიკეში მონაწილეობას, მაგრამ აქ უფრო ბრბოს ფსიქოლოგია მოქმედებს. როგორც სერჟ მასკოვიჩი ნაშრომში „ბრბოს საუკუნე" აღნიშნავს, რომ პოტენციურ ბრბოდ შეიძლება იქცეს ხანმოკლე დროით ადამიანების დიდი გაერთიანება საერთო ინტერესების საფუძველზე.., რომლებიც უკიდურესად ემოციურად და ერთსულოვნად მოქმედებენ (Москович 1998). სწორედ ასე იქცევიან ქისტები ზვიადაურის შეპყრობისა და მკვლელობისას.

დასასრულ შევნიშნავთ, რომ მხატვრული ტექსტი, განსაკუთრებით კი მაღალი ესთეტიკური ღირებულების, ყოველი წაკითხვისას მრავალგვარი ინტერპრეტაციის, ახალი ინფორმაციის ამოკითხვის, ნაცნობი იდეისა თუ პერსონაჟების განსხვავებული კუთხით დანახვის შესაძლებლობას იძლევა. სწორედ ამას შევეცადეთ ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის" ლიმინალობის ანთროპოლოგიის თეორიის კონტესტში გააზრებით.

„სტუმარ-მასპინძელში", "ალუდა ქეთელაურის" მსგავსად, ინდივიდის ტრანსფორმაციის პროცესს ვადევნებთ თვალს, თუმცა, განსხვავებული ვარიაციებით.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ვაჟა-ფშაველა 1985: ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი. თბილისი. 1985.
რატიანი 2010: რატიანი ი.. ტექსტი და ქრონოტოპი. თბილისი, 2010.
სიმბოლოთა და ნიშანთა ენციკლოპედია: https://sigils.ru/symbols/dom.html.
ყარალაშვილი 1977: ყარალაშვილი რ., წიგნი და მკითხველი. თბილისი. 1977.
Bräunlein 2012: Bräunlein Peter J., Victor W. Turner: Rituelle Prozesse und kulturelle Transformationen https://bibliographie.unituebingen.de/xmlui/bitstream/handle/10900/101155/Br%C3%A4unlein_058.pdf?sequence=1.
Förster: Förster T., Victor Turners Ritualtheorie. https://ethnologie.philhist.unibas.ch/fileadmin/user_upload/ethnologie/Dokumente/Forschung_und_Doktorat/Foerster_-_Victor_Turners_Ritualtheorie.pdf.
Бахтин 2000: Бахтин М. М.. Эпос и роман (О методологии исследования романа). https://philolog.petrsu.ru/filolog/lit/epospom.pdf.
Москович 1998: Москович С., Век Толп. http://univer.nuczu.edu.ua/tmp_metod/665/moskovichi_vek_tolp.pdf:.
Фусу 2017: Фусу Л. И., Концепции лиминальности в научном дискурсе как междисциплинарная проблема. http://publishing-vak.ru/file/archive-philosophy-2017-3/22-fusu.pdf.
Юнг 1991: Юнг К. Г., Архетип и символ. М., 1991. https://gtmarket.ru/library/basis/4229/4231#t8.